<u>ვამტკიცებ:</u>

შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიის“

საოპერაციო დირექტორი

ს.ო. პოლუშკინი

ა. [illegible] __________

«_5_» __06.__ 2026 წ.

# ტექნიკური დავალება
## საბეჭდი ქაღალდის შესყიდვა

შწკპ 2026 გამარტივებული შესყიდვის პროცედურა, ლოტი №683.26.00092 - საბეჭდი ქაღალდი

1. შესასყიდი საქონლის მოკლე აღწერილობა

1.1. შესასყიდი საქონლის დასახელება და მოცულობა

| საქონლის დასახელება | რაოდენობა | ზომის ერთეული |
|---|---|---|
| საბეჭდი ქაღალდი A4 - კლასი C | 1560 შეკვრა<br>312 ყუთი | 1 შეკვრა -500 ფურცელი<br>1 ყუთი- 5 შეკვრა |

1.2. საქონლის მიწოდების ვადა

მთლიანი რაოდენობის ერთ პარტიად მოწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში.

1.3. ტექნიკური დავალების შემუშავების დასაბუთება.

შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიის“ შესყიდვების წლიური კომპლექსური პროგრამა 2026 წლისათვის.

2. ზოგადი მოთხოვნები

2.1. მოთხოვნები საქონლის მიმართ

მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი, ამასთან მიწოდებული საქონელი უნდა იყოს წარმოებული არაუგვიანეს 2025 წლისა.

საქონლის (ქაღალდი A4) ტექნიკური პარამეტრები მოყვანილია ცხრილში:

| ქაღალდის პარამეტრის დასახელება | განზომილება | მაჩვენებელი |
| --- | --- | --- |
| ფორმატი | - | A4 |
| ზომა | მმ | 210x297 |
| წონა | გრ/მ2 | არანაკლებ 80 |
| სისქე | მიკრონი | არანაკლებ 104 |
| სითეთრე | CIE % | არანაკლებ 146 |
| გაუმჭვირვალობა | % | არანაკლებ 91 |
| ზედაპირის ხაოიანობა | ML/MIN | არაუმეტეს 300 |
| სიკაშკაშე ISO | % | არანაკლებ 94 |
| სიმტკიცე MD | mH | არანაკლებ 105 |
| სიმტკიცე CD | mH | არანაკლებ 45 |

## 3. სასურველი მოთხოვნები

სასურველია შესყიდვების მონაწილეებმა თავიანთ წინადადებებში წარმოადგინონ შემოთავაზებული საქონლის შესაბამისობისა და ხარისხის სერტიფიკატები.

## 4. მოთხოვნები საქონლის მიწოდების შესრულების მიმართ

### 4.1 მოთხოვნები მიწოდების მოცულობების მიმართ

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ტექნიკური დავალების №1.1 პუნქტში მითითებული რაოდენობით.

### 4.2 მოთხოვნები შესასყიდი საქონლის გაგზავნისა და მიწოდების მიმართ

საქონლის ჩატვირთვა, ტრანსპორტირება, გადმოტვირთვა და აზიდვა შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიის" საწყობში (მეორე სართული), უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ძალებით. შესყიდვის მონაწილემ თავისი წინადადების ფასში უნდა შეიტანოს საქონლის მიწოდების ხარჯები. შესყიდვის მონაწილემ თავისი წინადადების ფასში უნდა შეიტანოს დაზღვევასთან დაკავშირებული ხარჯები, გადაიხადოს საბაჟო გადასახდელები, გადასახადები, მოსაკრებლები და სხვა სავალდებულო გადასახდელები. შესასყიდი საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთ-ერთ მისამართზე დამკვეთის მოთხოვნით: 1. ქ. თბილისი, ო. ჩხეიძის №10, სართული მეორე 2. ქ. თბილისი, ილიკო სუხიშვილის #5, სართული მეორე.

### 4.3 მოთხოვნები შესასყიდი საქონლის ტარისა და შეფუთვის მიმართ

მისაწოდებელი საქონელი უნდა გაიგზავნოს ქარხნულ შეფუთვაში (ან ტარაში). ტარა და შეფუთვა უნდა უზრუნველყოფდეს საქონლის სრულ დაცულობას დაზიანებისა და გაფუჭებისგან ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს.

**4.4 მოთხოვნები საქონლის მიღების მიმართ**

მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თავისი უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება მიწოდებული საქონლის მიღებისას დამკვეთის საწყობში.

საქონლის მიღება განხორციელდება დამკვეთის საწყობში, სასაქონლო ზედნადების შესაბამისად.

**4.5 მოთხოვნები ანგარიშსწორების წესის მიმართ**

სრული ინფორმაცია წინამდებარე ტექნიკური დავალების 4.5 თავის შესახებ ასახულია ხელშეკრულების პროექტში - სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების გადახდა წარმოებს მიმწოდებლის მიერ სრული დოკუმენტაციის - ინვოისი/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, ორმხრივად დამოწმებული მიღება-ჩაბარების აქტის (ორიგინალი) და სხვა დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარდგენის დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა გამოსასვლელ ან უქმე დღეს, ანგარიშსწორება წარმოებს პირველივე სამუშაო დღეს.

**5. მოთხოვნები შესყიდვის მონაწილეთა მიმართ**

**5.1 სატენდერო მასალებში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს:**

- შესაბამისობისა და ხარისხის სერტიფიკატები
- კომერციული წინადადება.

**შეთანხმებულია:**

**ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი** ______________ **მ. არჩუაძე**

*(თანამდებობა)* *(ხელმოწერა)* *(გაშიფვრა)*

**ტექნიკური დავალების თაობაზე წარმოშობილი კითხვების დაზუსტება:**

*ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ანა დადიანი,*

*ტელ: + 995 595 425 262, ana.dadiani@telmico.ge*